თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2715499

ნომერი: AR1407586

თარიღი : 06.07.2016

გაცემის თარიღი : 15.07.2016

გაცნობის თარიღი : 15.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარე ტერიტორია.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონ გოცირიძე პ/ნ 01017005319
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 29/05/2014 წლის №1294389 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 06.07.2016

წლის #AR1407586 განცხადებით მომართა ბესარიონ გოცირიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/05/2014 წლის №1294389 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/05/2014 წლის №1294389 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ილია ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოქალაქე მიხეილ ქორქაძის და ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ჯეობილდი–2004"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.14.005.196) შეთანხმდა შერეული ფუნქციის ობიექტის (საოფისე,კომერციული, საცხოვრებელი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლების განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შევსებისას მოხდა ფართობების არასწორად დაფიქსირება და დაჯამება, რაც შემდგომ აისახა ბრძანებაში. ასევე შეუსაბამობაა შეთანხმებული პროექტის გეგმებზე დაფიქსირებულ ფართობებსა და ექსპლიკაციებს შორის, შესაბამისად შეუსაბამობაა ბრძანებაში დაფიქსირებულ ფართობებს, გეგმებსა და ექსპლიკაციებს შორის. სამსახურში წარმოდგენილი იქნა დაკორექტირებული გეგმები და ტექნიკურ ეკონომიკური-მაჩვენებლები. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის განმარტების შესაბამისად, სამსახურის 29/05/2014 წლის №1294389 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე დაფიქსირებულ ფართობებსა და ექსპლიკაციებს შორის შეუსაბამობაა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დატანილია შეცდომით. ამასთან, განსახილველი განაცხადის მეშვეობით წარმოდგენილი გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და სამსახურის 29/05/2014 წლის №1294389 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩაანაცვლოს განსახილველი განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/05/2014 წლის №1294389 ბრძანებით შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციაში და ბრძანებით შეთანხმებული სარდაფის სართულის გეგმები -10.550, -6.550 და -3.400 ნიშნულებზე და ასევე I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI სართულების გეგმები ჩანაცვლდეს 06.07.2016 წლის #AR1407586 განაცხადით წარმოდგენილი ამავე სართულების გეგმებით. ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 4504.80 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 2399.86 კვ.მ, საოფისე ფართობი: 232.57 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 486.82 კვ.მ, სარდაფის ფართობი: 322.71 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 5.62 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 735.22 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/05/2014 წლის №1294389 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.